მერჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთსა და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
	1 ლარი =	1 ევრო =		
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6894 ლარს	2,9753 ლარს		
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	109,984	76,283	3	186,269
გაცემული სესხები	696,719	141,809	-	838,528
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	25,030	2,434	-	27,464
სულ ფინანსური აქტივები	831,733	220,526	3	1,052,261
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	88,565	51,652	140,217
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	29,984	540	1	30,525
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,984	89,105	51,653	170,742
წმინდა სავალუტო პოზიცია	801,749	131,421	(51,651)	
2022 წლის 31 დეკემბრისათვის				
	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
	1 ლარი =	1 ევრო =		
	2.702 ლარს	2.8844 ლარს		
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	90,246	90,199	2	180,447
გაცემული სესხები	610,220	166,718	-	776,938
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	23,445	-	-	23,445
სულ ფინანსური აქტივები	723,911	256,917	2	980,830
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	79,128	67,799	146,927
საიკარო ვალდებულებები	12,983	27,142	-	40,125
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	15,198	-	4	15,202
სულ ფინანსური ვალდებულებები	28,181	106,270	67,803	202,254
წმინდა სავალუტო პოზიცია	695,730	150,647	(67,801)	

სს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკების მართვა (გავრძელება)

24.1 სავალუტო რისკი (გავრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადგებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ვალუტა	ცვლილება კურსში	2023 წელი		2022 წელი	
		გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარი	-10%	(13,142)	(11,171)	(15,065)	(12,805)
	-5%	(6,571)	(5,585)	(7,532)	(6,402)
	5%	6,571	5,585	7,532	6,402
	10%	13,142	11,171	15,065	12,805

ვალუტა	ცვლილება კურსში	2023 წელი		2022 წელი	
		გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
ევრო	-10%	5,165	4,390	6,780	5,763
	-5%	2,583	2,195	3,390	2,882
	5%	(2,583)	(2,195)	(3,390)	(2,882)
	10%	(5,165)	(4,390)	(6,780)	(5,763)

24.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვაღიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზთ, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პრიორიტეტებისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვაღიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვალების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

სს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკების მართვა (გაფრძელება)

24.2 ლიკვიდურობის რისკი (გაფრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	186,269	-	-	-	186,269
გაცემული სესხები	285,606	316,253	236,668	-	838,528
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	27,464	-	-	-	27,464
სულ ფინანსური აქტივები	499,339	316,253	236,668	-	1,052,261
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	140,217	-	-	-	140,217
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	30,525	-	-	-	30,525
სულ ფინანსური ვალდებულებები	170,742	-	-	-	170,742
ლიკვიდურობის სხვაობა	328,597	316,253	236,668	-	881,519
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	328,597	644,850	881,519	881,519	
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	180,447	-	-	-	180,447
გაცემული სესხები	551,634	149,444	64,469	11,391	776,938
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	23,445	-	-	-	23,445
სულ ფინანსური აქტივები	755,526	149,444	64,469	11,391	980,830
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	146,927	-	-	-	146,927
საიკარო ვალდებულებები	40,125	-	-	-	40,125
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	15,202	-	-	-	15,202
სულ ფინანსური ვალდებულებები	202,254	-	-	-	202,254
ლიკვიდურობის სხვაობა	553,272	149,444	64,469	11,391	778,576
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	553,272	702,716	767,185	778,576	

სს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკების მართვა (გავრძელება)

24.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რაც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემთხვევალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედვად მისა რომ კომპანიას აქვს შემშენებლოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

24.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული და ფულის ეკვივალენტები	186,269	180,447
გაცემული სესხები (წმინდა)	838,528	776,938
სულ	1,024,797	957,385

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოიშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხის/უზრუნველყოფის კონფიდენციალურობის საგარეონოსად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუცასურების ანარიცხვის გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. კომპანია ანარიცხვის ქმნის ვადაგადაცილების დღეებისა და რესტრუქტურიზაციების რაოდნობის შესაბამისად (დეტალურად იხილეთ შენიშვნა 7.4-ში).

კომპანიას განახნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესხო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამუშაოურეო საბჭოს მიერ.

შენიშვნა 25 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური დირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

25.1 რეალური დირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური დირებულების გამოოვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვით ან გადახდით იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მოუხედავად იმ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადაღებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური დირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებსა და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს სანაცვლიში თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური დირებულების განსასაზღვრად, რომელიც იყენებს მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენებას სჭირდებათ.

ს ს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 25 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაცრძლება)

25.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

- ა) 18-40%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;
- ბ) 14-16%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მიღებულ სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალიგური ფინანსური ინსტრუმენტების კატერებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა მისა, რაც პირველ დონეშია ნახსენები და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირაბად (ფასებისგან წარმოქმული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალისაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდრენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძვლზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებული ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 26 კაპიტალის აღევატურობა

მიქროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის აღევატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიქროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ღირებულება უნდა შეადგინდეს 1,000,000 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მისი ინვესტ ჯორჯიას საქციო კაპიტალი არის 1,632,500 ლარი შესაბამისად (2022: 1,632,500 ლარი), კომპანია აკმაყიფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

შენიშვნა 27 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შემავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შეიძლობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

სს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 27 დაკავშირებული მხარეები (გავრძელება)

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-ღეკ-2023	სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხი	მისაღები პროცენტი	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი
მეწილეები	58,631	-	-	-	51,652
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	23,109	201	70,035	18,530
სულ	58,631	23,109	201	70,035	70,182
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წელი	გადახდილი სესხის მიზი	გადახდილი პროცენტი	საპროცენტო მემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	-	-	9,805	10,693
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	17,306	1,114	-	1,114	24,335
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9,805	14,494	-	-
სულ	17,306	10,919	14,494	10,919	35,027
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-ღეკ-2022	სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხი	მისაღები პროცენტი	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი
მეწილეები	58,631	-	-	70,363	58,840
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	17,306	418
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	33,000	11,675	-	-
სულ	58,631	33,000	11,675	87,669	59,258
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	გადახდილი სესხის მიზი	გადახდილი პროცენტი	საპროცენტო მემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	-	-	9,878	10,500
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	9,000	6,649	-	4,996	55,612
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	9,008	-	-
სულ	9,000	6,649	9,008	14,873	66,112

შენიშვნა 28 პირობითი ვალდებულებები

28.1 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დაგის გადატანის რისკის ქვების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

სს მისო ინვესტ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 29 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გაგმები.

შენიშვნა 30 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება

სს მისო „ინვესტ ჯორჯია“

2023 წელი

INVEST GEORGIA


#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შენა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

ჩვენს შესახებ

- ▶ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ ინვესტ ჯორჯია ” (ს/ნ 404869576) დარეგისტრირდა 2010 წელს, საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. ასევე კომპანიას აქვს ფილიალი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში-ზემო სვანეთის რეგიონში, ქალაქ ზუგდიდში.
- ▶ ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ფალიაშვილის 33.



INVEST GEORGIA


#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შეტა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

მმართველობითი ორგანო

- ▶ კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საბჭო. სს მისო „ინვესტ ჯორჯიას“ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.
- ▶ კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გაცემა. კლიენტების სოციალური და კონომიკური პირობების გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.



INVEST GEORGIA


#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შეტა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- ▶ 2023 წელს კომპანიამ გააგრძელა წინა წლებში დაწყებული სამოქმედო გეგმა, კერძოდ:
- ▶ 2023 წელს დააბრუნა მოზიდული სახსრების ნაწილი, რამაც თავის მხრივ კიდევ შეამცირას სავალუტო რისკი.
- ▶ აქტიური მუშაობა გააგრძელა ვადაგადაცილებული პორტფელის ამოღებაზე. კომპანიამ მოიგო არაერთი დავა.
- ▶ 2023 წლის მანძილზე კომპანია გასცემდა ძირითადად სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებს.
- ▶ 2023 წლებს კომპანიამ გააგრძელა თანამშრომლების დატრენინგება.



INVEST GEORGIA

#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შენა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)


ფინანსური ანგარიშგება

აქტივები	31-dek-22	31-dek-23
ფული და ფულის ექვივალენტი	180,447	186,269
გაცემული სესხები	776,938	838,528
დასაკუთრებული ქონება	33,880	33,880
საგადასახადო აქტივები	2,841	2,501
გადავადებული საგადასახადო აქტივები	10,148	12,995
ძირითადი საშუალებებიდა აქტივის გამოყენების უფლება	43,060	4,043
სხვა აქტივები	82,076	105,622
სულ აქტივები	1,129,390	1,183,838
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	146,927	140,217
საიჯარო ვალდებულება	40,125	-
სხვა ვალდებულებები	15,202	30,525
სულ ვალდებულებები	202,254	170,741
საქციო კაპიტალი	1,632,500	1,638,500
გაუნაწილებელი მოგება	(705,364)	(619,403)
სულ კაპიტალი	927,136	1,013,097
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,129,390	1,183,838

	2022წელი	2023წელი
საპროცენტო შემოსავალი	196,415	138,038
საპროცენტო ხარჯი	(17,905)	(12,624)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	178,510	125,414
შემოსავალი ჯარიმებიდან	37,444	8,176
სხვა შემოსავლები	2,479	690
საოპერაციო შემოსავალი	218,433	134,280
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(237,912)	(196,069)
ცვეთა და ამორტიზაცია	(37,170)	(41,127)
უიმედო ვალების ხარჯი	(38,915)	(7,346)
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით მიღებული მოგება/ (ზარალი)	(5,532)	-
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი	353,358	203,348
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ხარჯი	-	-
მოგება/ (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(156,711)	(9,973)
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე	95,551	83,113
მოგების გადასახადის ხარჯი	(753)	2,847
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი	94,798	85,960

ფულადისახსრების მომრაობის ანგარიშგება	2022წელი	2023წელი
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	728,493	701,940
გაცემული სესხები	(333,233)	(423,601)
გადახდილი პროცენტი	(19,919)	(1,613)
გადახდილი ხელფასები	(117,313)	(92,578)
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(16,985)	(17,050)
გადახდილი გადასახადები	(27,337)	(19,729)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(24,093)	(21,435)
მეწილეებისთვის გადახდილი თანხები	(19,529)	-
დაზღვევის ხარჯი	(6,771)	(5,418)
კომუნალური ხარჯები	(6,251)	(6,391)
ბანკის მომსახურეობის საკომისიო	(187)	(279)
სხვა ხარჯები	(26,266)	(35,262)
სხვა შემოსავალი	4,426	6,981
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	135,035	85,565
დასაკუთრებული ქონების გაყიდვა	10,000	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(600)	(1,449)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	9,400	(1,449)
დაფარული სესხები	(24,273)	(16,811)
გადახდილი დივიდენტი	-	(19,527)
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	(35,645)	(40,599)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(59,918)	(76,937)
საკურსო სხვაობის შედეგი	(14,441)	(1,357)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა / (შემცირება)	84,517	7,179
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	110,371	180,447
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	180,447	186,269

- ▶ კომპანია მმართველობით ანგარიშგებაში ასახული თანხების დამატებით განმარტებებს არ ახდენს. თითოეული მაჩვენებელი ჩაშლილია და ახსნილია აუდიტორულ დასკვნაში, რომელიც ატვირთულია სს მისო „ინვესტჯორჯიას“ ვებ-გვერდზე: www.investgeorgia.ge
- ▶ ასევე კომპანიას 2023 წლის განმავლობაში არ უწარმოებია კვლევები.

INVEST GEORGIA

#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯიას

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შენა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

რისკების მართვა

მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს გარკვეული რისკები, მაგრამ რისკების მართვა გადამწყვეტია მისოს სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის - ბიზნეს მიმართულებებთან და პორტფელებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთერთი მნიშვნელოვანი ფუკუსია. ჩვენ წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და მონიტორინგს ვახორციელებთ კონტროლით. სამეთვალყურეო საბჭო ადასტურებს, რომ ჩვენი ფუნქციონირება წლის განმავლობაში დამოკიდებულია ჩვენი საქმიანობის სწორ დაგეგმვაზე, ისე სიცოცხლისუნარიანობის შეფასების პროცესებზე.

რისკების იდენტიფიკაცია

რისკების იდენტიფიკაცია რეგულარულად ხორციელდება ბიზნესისა და რისკების მართვის ფუნქციების ერთობლივი ძალისხმევით. მთავარი მიზანია პოტენციური რისკების დოროულად იდენტიფიცირება და ამ რისკებით გამოწვეული პოტენციური ზიანის თავიდან აცილება. მნიშვნელოვანი შიდა ან გარე ცვლილების შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს დამატებითი რისკის იდენტიფიკაცია. სამეთვალყურეო საბჭო ასევე რეგულარულად განიხილავს ძირითად რისკებს და აფასებს მენეჯმენტის მიღვომას ამ რისკების მართვის მიმართ.



რისკების გაზომვა

თითოეული იდენტიფიცირებული რისკი ფასდება მისი მოხდენის ალბათობისა და პოტენციური ფინანსური და არაფინანსური შედეგების საფუძველზე. შემდეგ ვახდენთ რისკების პრიორიტეტიზაციას და ვწყვეტთ, რომელი მათგანი საჭიროებს რისკზე დაუყოვნებლივი რეაგირებას. თუ კონტროლის სისტემა არ მუშაობს ეფექტურად, ხდება ძირითადი მიზეზების ანალიზი და სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება.

რისკების მონიტორინგი და რეპორტინგი

აღმასრულებელი მენეჯმენტი აფასებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელების ეფექტურობას და პერიოდულად განიხილავს შედეგებს. გარდა ამისა, რისკების შესახებ ყოველთვიური ანგარიშის საფუძველზე აღმასრულებელ მენეჯმენტს მიეწოდება რისკების მართვისთვის საჭირო ინფორმაცია.



რისკის მართვის კულტურა

ჩვენი რისკების მართვის კულტურა შემუშავებულია იმისთის, რომ ყველა თანამშრომელმა: გაიგოს ცალკეულ სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებული რისკები; გაითვალისწინოს რისკები და გაიაროს კონსულტაცია რისკების განყოფილებასთან ახალი პროდუქტების, პროცედურების, პოლიტიკისა და სისტემების შემუშავებისას; უზრუნველყოს რისკების იდენტიფიცირება, გადამისამართება და იმოქმედოს გამჭვირვალედ რისკებთან დაკავშირებით.

სწავლება

სწავლების სტრატეგიის ძირითადი ნაწილია თანამშრომლების ინფორმირებულობა რისკების შესახებ და მათთვის მათი მართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა. აქცენტი კეთდება შემდეგ თემებზე: საოპერაციო რისკები, ბიზნესის უწყვეტობა, ინფორმაციული უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

მოსალოდნელი რისკები ყველა ბიზნეს მიმართულებიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება მოსალოდნელი რისკების ანალიზის, კონტროლისა და გამოვლენის მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია წარედგინება და განემარტება აღმასრულებელ მენეჯმენტს.

► ორგანიზაციას გააჩნია **საკრედიტო რისკი**. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მისომ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით. მისომ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი მისოს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევისთანავე ხდება მსესხებელთან დაკავშირება და დარღვევის მიზეზების გარკვევა. საჭიროების შემთხვევაში, მისო ითხოვს გირაოს ან თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველთვიურად.

- ▶ ლიკვიდურობის რისკი- ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივობისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს მისოს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მისოს მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ლიკვიდურობის რისკი მისოში მკაცრად კონტროლდება, შესაბამისად მისო არ დაუშვებს ლიკვიდურობის რისკის გაზრდას.
- ▶ გეოპოლიტიკური რისკი- მისო საქმიანობას ახორციელებს და მისი შემოსავლების ძირითადი წყარო განთავსებულია საქართველოში. საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. ამიტომ შესაძლოა გავლენა იქონიოს რეგიონში არსებულმა კონფლიქტებმა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა.

► აღსანიშნავია რომ კომპანიას აქვს AML პოლიტიკა, რაც გულისხმობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღვეთას. კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა კონტროლის სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- შიდა პოლიტიკა და პროცედურები
- კონტროლზე პასუხისმგებელი თანამშრომელი
- რისკზე დაფუძნებული მიდგომა
- პროცედურა „იცნობდე შენს კლიენტს“

ფულის გათეთრების კონტროლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული მიდგომა. „ინვესტ ჯორჯიას“ კლიენტები დაჯგუფებულია დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის კატეგორიებად. რისკის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებისთვის რელევანტური რისკ-ფაქტორების იდენტიფიკაცია და შეფასება.

ამასთანავე, კომპანია ფულის გათეთრების რისკის შემცირების მიზნით აგრძელებს თანამშრომლების გადაამზადებას. ასევე თითოეული კლიენტის შესწავლას მისო უფრო მეტ დროს და რესურს უთმობს. პერიოდულად ახორციელებს ამ რისკის გაფადასებას.

რისკების შეფასება

მისოს მიერ გამოყენებულ საკრედიტო რისკის შეფასების
ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების
კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია
საფინანსო და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზისა და
ექსპერტული შეფასების შედეგად.

მისო საკრედიტო რისკის შეფასებისას თითოეული კლიენტის
მიმართ, როგორც წინა წლებში, 2023-შიც ინდივიდუალურ
მიდგომას იყენებდა, როდესაც გარიგების მიხედვით საკრედიტო
რისკი მეტწილად განისაზღვრება კლიენტის საერთო
კრედიტუნარიანობით და ნაკლებად არის დამოკიდებული
კლიენტის მიერ მოთხოვნილი საკრედიტო პროდუქტის
პარამეტრებზე.

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა და კონტროლი ხელს უწყობს კომპანიის ბიზნეს-მიზნების მიღწევას. საოპერაციო რისკების მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს მისოს საოპერაციო რისკების რეალიზაციის შედეგად.

რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის გამოვლენა/იდენტიფიცირება, კლასიფიკაციის ჩატარება, რისკის შემთხვევის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება. რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეკრება მისოში ხორციელდება ყოველთვიურად. საჭიროების შემთხვევაში მისო ახდენს სესხბის რესტრუქტურიზაციას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი ან წამოიწყოს იძულებითი აღსრულების პროცედურები. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას, სესხის პროცენტის დაწევას ან სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს
საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს
და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების
მუდმივ და თავისდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების
მისაღებად.

საოპერაციო რისკების თაობაზე მისო ახდენს სებ-ის
ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით.

რისკის კონტროლის პროცესი არ მოიცავს ისეთ რისკებს,
როგოლიც გამოწვეულია ფორს-მაჟორით.

კომპანიის ხედვა

კომპანიის სურვილია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს თავისი პროდუქტები საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ვისაც აქვს საკუთარი საქმიანობის წამოწყების სურვილი, ვინც უკვე ფლობს ბიზნესს და ქმნის დამატებით ღირებულებას, ვისაც უბრალოდ სჭირდება თანხა მიმდინარე ხარჯის გასაწევად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თანამშრომლობს მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან, ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია წვრილი ბიზნესისთვის ხელის შეწყობა მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.

კომპანიის ხედვით საქართველოში ბიზნესის ორი მიმართულება იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ესენია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. „ინვესტ ჯორჯია“ ეხმარება ამ სფეროს, მასზე გასცემს სესხებს გარკვეული შეღავათებით, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ბიზნესის განვითარებას.

კომპანია თვლის, რომ ქართული ბიზნესი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკას ზრდას და გაზრდის სამუშაო ადგილებს ბაზარზე. შესაბამისად რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური) ხმარდება ამ სექტორებში ბიზნეს პროექტების ხელშეწყობას.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

2023 წელს სამწუხაროდ გრძელდება რუსეთ-უკრაინის ომი, რაც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე. მიუხედავად ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციისა, კომპანია ინარჩუნებს სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, რაც მსესხებელს უქმნის სტაბილურობის შეგრძნებას.

თუმცა 2023 წელს სს მისო „ინვესტ ჯორჯიამ“ გადადგა რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა.

სს მისო „ინვესტ ჯორჯია“ სამომავლო გეგმა შემდეგია:

1. ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერა და მათი რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტია.
2. აქტიურად ჩავერთოთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.
3. მოვიზიდეთ არაერთი გადახდისუნარიანი კლიენტი და შევთავაზეთ დაბალი პროცენტი.
4. ახალი პროდუქტების შექმნა და დაწერგვა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ეს არის დარგი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტია დასაქმებული. წლიდან - წლამდე ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი ძველთანად იზრდება. იზრდება მათი ცოდნა და გამოცდილება. იბადება ახალი იდეები და ყველაფერი ამისათვის საჭიროა ფულადი სახსრები.

ამ ტიპის სესხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობამი ჩართული მეწარმეების გრძელვადინი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის პროცესის გაუმჯობესებას.

სესხის უპირატესობას წარმოადგენდა კლიენტზე მორგებული გადახდის გრაფიკი, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია საქმიანობის სფეროზე.

ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს საბაზრო ტენდეციებს და ყურადღებას ვაქცევთ ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი ჩვენი მომხმარებლების ქცევამი. მუდმივად ვცდილობთ, რომ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ მათთვის შესაფერისი პროდუქტები და გადახდის პირობები.

მომავალი გეგმები

► მისო „ინვესტ ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 632 500 ლარს. მისო ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს, რომლის შემოწმება ხდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მისო „ინვესტ ჯორჯიას“ აქციონერები არიან:

1. მეთიუ ჯონ კლარკსონი მფლობელი 130 500 ცალი აქციის.
2. რუსუდან ხარბედია - 19 500 ცალი აქციის
3. ვალერი ჩეჩელაშვილი - 13 250 ცალი აქციის

თითოეული აქციის ღირებულებაა 10 ლარი.

კომპანიის სამომავლო გეგმას წარმოადგენს ხარჯების ეფექტური მართვა და შემოსავლების გაზრდა.

- კომპანია გეგმავს კლიენტების წახალისების მიზნით შეიმუშაოს პროცენტის დაწევის პროექტი.
- 2024 წელს კომპანია გააგრძელებს მოზიდული სახსრების დაბრუნებას.
- 2024 წელს კომპანია გეგმავს კაპიტალის გაზრდა, ინვესტორების მოზიდვის კუთხით.
- კომპანია გეგმავს ახალი პროდუქტების დანერგვას.

გეართველობის ანგარიშგების წარდგენა

- ▶ ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე ყველა ბეჭოთ აღნიშნული ნაბიჯი უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.
- ▶ მისოს ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უფყესობასა და სიმუშავეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული მიდა კონფრონტის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების საფუძვლზე.



23.05.2024

INVEST GEORGIA

#71 Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext. 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ გეორგია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 მობი: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)